


შპს კანი
2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	კომ.	31.12.24	31.12.23
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	77 396,74	371 837,75
მოკლევადიანი მოთხოვნები	4	40 991,43	80 844,98
მარაგები		11 701 354,80	6 684 050,36
წინასწარ გაწეული ხარჯები		-	3 696,76
		11 819 742,97	7 140 429,85
გრძელვადიანი აქტივები			
წმინდა ძირითადი საშუალებები	5	777 385,61	499 712,73
გაცემული სესხები		4 761 299,71	3 795 805,93
		5 538 685,32	4 295 518,66
		17 358 428,29	11 435 948,51
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	6	71 457,77	86 053,58
გადასახადები		16 145,68	-
		87 603,45	86 053,58
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები		12 901 721,48	8 380 476,63
		12 901 721,48	8 380 476,63
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		68 664,16	3 334,97
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		4 300 439,20	2 966 083,33
		4 369 103,36	2 969 418,30
		17 358 428,29	11 435 948,51

დირექტორი

ი. კუტალია



საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

	2024	2023
ამონაგები მომსახურებიდან	7 339 091,36	5 827 260,50
სხვა შემოსავლები	14 603,36	76 225,85
დასაქმებულთა ანაზღაურება	(2 267 945,45)	(1 532 341,74)
ცვეთა და ამორტიზაცია	(69 598,77)	(56 366,87)
იჯარის ხარჯი	(497 133,26)	(394 766,43)
საპროცენტო ხარჯები	(1 211 601,55)	(986 871,27)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1 098 809,16)	(1 299 954,01)
საოპერაციო მოგება	2 208 606,53	1 633 186,03
წმინდა მოგება / (ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	(114 551,84)	735,31
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	2 094 054,69	1 633 921,34
მოგების გადასახადი	(759 698,82)	-
წმინდა მოგება/(ზარალი)	1 334 355,87	1 633 921,34
საკუთრი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	2 969 418,30	1 391 913,96
საწესდებო კაპიტალი ცვლილება	65 329,19	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	(56 417,00)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4 369 103,36	2 969 418,30

დირექტორი

ი. კუტალია

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს კანი (შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია 2012 წლის 31 იანვარს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, გიორგი სააკაძის დაღმართი, N11.

კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან:

- ირაკლი კუტალია - 100%.

კომპანიის მენეჯმენტი შედგება:

- დირექტორი - ირაკლი კუტალია.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კანის დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფული და ფულადი ექვივალენტები

	2024	2023
ნაღდი ფული	1 270,00	57 215,80
ფული ბანკში	76 126,74	314 621,95
	<u>77 396,74</u>	<u>371 837,75</u>

4. მოკლევადიანი მოთხოვნები

	2024	2023
მოთხოვნები მომსახურებიდან	2 736,88	31 739,10
მოთხოვნები პერსონალისადმი	0,03	48 607,96
გადასახადები	4 156,95	-
გადადებული ავანსები	34 097,57	497,92
	<u>40 991,43</u>	<u>80 844,98</u>

5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	31.12.23	წმინდა ცვლილება	31.12.24
ისტორიული ღირებულება			
ოფისის აღჭურვილობა	897 022,44	347 271,65	1 244 294,09
სატრანსპორტო საშუალებები	42 014,45	-	42 014,45
	<u>939 036,89</u>	<u>347 271,65</u>	<u>1 286 308,54</u>
აკუმულირებული ცვეთა			
ოფისის აღჭურვილობა	(400 110,67)	(66 797,81)	(466 908,48)
სატრანსპორტო საშუალებები	(39 213,49)	(2 800,96)	(42 014,45)
	<u>(439 324,16)</u>	<u>(69 598,77)</u>	<u>(508 922,93)</u>
საბალანსო ღირებულება			
ოფისის აღჭურვილობა	496 911,77	280 473,84	777 385,61
სატრანსპორტო საშუალებები	2 800,96	(2 800,96)	-
	<u>499 712,73</u>	<u>277 672,88</u>	<u>777 385,61</u>

6. სავაჭრო ვალდებულებები

	2024	2023
ვალდებულებები მომწოდებლებთან	64 437,77	80 875,84
მიღებული ავანსები	7 020,00	-
გადასახადები	-	5 177,74
	<u>71 457,77</u>	<u>86 053,58</u>

